

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის
ოქმი №1**

დაბა ქედა

27.02.2017

სხდომა დაიწყო: 11:00 სთ-ზე;

სხდომა დამთავრდა: 12:00 სთ-ზე.

სხდომას ხელმძღვანელობდა: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე დავით დუმბაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გურამ ანანიძე და კომისიის წევრი ჯამბულ სურმანიძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს წევრები ჰამიდა ზოიძე და სოფიო ხაბაზი.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 თებერვლის №11 ბრძანებით განსაზღვრულ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის ფორმების, პირობების, ეტაპების, შეფასების ფორმების და გრაფიკის განსაზღვრის შესახებ;

2. საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით ასატვირთი კონკურსის შეტყობინების შესახებ ინფორმაციის დამტკიცება;

მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 თებერვლის №11 ბრძანების შესახებ სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი და საკონკურსო-საატესტაციო კომისიას დაევალა შესაბამისი ღონისძიებების გატარება. მისივე განმარტებით, ბრძანების შესაბამისად, კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია საჯარო სამსახურის ბიუროს ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით უნდა გამოცხადდეს არაუგვიანეს 28 თებერვლისა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ აღნიშნა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 ოქტომბრის №27 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-11 მუხლის შესაბამისად, ვაკანტური თანამდებობისათვის შეტყობინების მომზადება, რომელიც ვრცელდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, უნდა მომზადდეს დაწესებულების ხელმძღვანელის აქტის შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩასატარებელი კონკურსის ფორმების, პირობების, ეტაპების, შეფასების ფორმების და გრაფიკის განსაზღვრის დროს კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 თებერვლის №11 ბრძანებით.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ბრძანების შესაბამისად მიზანშეწონილია კონკურსი ჩატარდეს ორ ეტაპად, რომელიც მოიცავს: 1. განცხადების გადარჩევა; 2. გასაუბრება (ძირითადად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებში).

ჯამბულ სურმანიძემ აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობისას კონკურსანტებს განცხადების შესატანად მიეცემათ 10 დღე, ამასთან ექნებათ შესაძლებლობა წარდგენისათვის ვადის ამოწურვამდე განაცხადში შეიტანონ ცვლილება. განცხადების გადარჩევები კი განხორციელდება დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, კომისიის მიერ.

კონკურსის მეორე ეტაპთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კომისიამ კანდიდატებთან გასაუბრებისას უნდა გამოიყენოს წინასწარ შემუშავებული კითხვარი, რომელიც უნდა მომზადდეს დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

გურამ ანანიძის განმარტებით, გასაუბრების დროს პრედენტენდენტების შეფასებისას კომისია ვალდებულია გამოიყენოს „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 01 ოქტომბრის №27 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2. აღნიშნული ფორმის გამოყენებით კომისიის წევრთა მიერ კანდიდატისათვის დაწერილი ქულები შეჯამდება და გაიყოფა იმ რიცხვზე, რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კანდიდატს (საშუალო არითმეტიკული ქულა), ხოლო საბოლოო ქულა უნდა გაანგარიშდეს მის მიერ მიღებული ქულის (საშუალო არითმეტიკული ქულა) მეათედი ნაწილით. მაგ.: თუკი კომისიის წევრების მიერ კონკურსანტმა მიიღო შემდეგი შეფასება: 83,85,87,87,90 გასაუბრების ეტაპზე კონკურსანტის საბოლოო შეფასებად მიიჩნევა: $\frac{83+85+87+87+90}{5} = 86,4$ 86,4:10=8,64

5

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია გასაუბრების ეტაპზე დადებით შედეგად ჩაითვალოს კონკურსანტის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება: 5.1 ქულადან ზევით. კონკურსანტი, რომელიც გასაუბრების ეტაპზე დააგროვებს 0-დან 5.0 ქულის ჩათვლით, მიიღებს შეფასებას „ვერ გადალახა“. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ეტაპზე ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს დაწესებულ მინიმალურ ბარიერს კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდება. გასაუბრებაზე რეგისტრაციის დროის განმავლობაში კანდიდატის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიო თუ არასაპატიო) მონაწილე უნდა შეფასდეს 0 ქულით.

კომისიამ იმსჯელა ასევე ვაკანტურ თანამდებობაზე საერთო თანაბარი ქულების შემთხვევაში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ და შეთანხმდა, რომ გამარჯვებული კონკურსანტის გამოსავლენად ჩატარდება კომისიის წევრთა ღია კენჭისყრა და გამარჯვებულად გამოვლინდება ის კონკურსანტი, რომელიც მიიღებს კომისიის დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობას. კომისიის წევრების ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშნვის უფლების მქონე პირის აზრს.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2017 წლის 20 თებერვლის №11 ბრძანების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსი ჩატარდეს II ეტაპად: I-განცხადების გადარჩევა; II- გასაუბრება(ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებულ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებში).

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველი პრეტენდენტებისათვის საბუთების მიღების ვადა განისაზღვროს კონკურსის გამოცხადებიდან 10 დღით. საბუთების მიღება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით www.hr.gov.ge.

3. ქედის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მისამართად განისაზღვროს: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ.№3, ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მესამე სართული.

4. განცხადების გადარჩევა განხორციელდეს საბუთების მიღების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

5. კანდიდატის განაცხადი არ განიხილება და მოიხსნება კონკურსიდან, თუკი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებად ვებ-გვერდზე (www.hr.gov.ge) არასრულყოფილად ატვირთავს სავალდებულოდ ასატვირთ დოკუმენტს, კერძოდ:

- უმაღლესი განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომლითაც დადასტურდება სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ექვს თვიანი გამოცდილების სტაჟი.

6. კონკურსის პირველ ეტაპზე სრულყოფილად წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა მოხდება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 19 სექტემბრის ბრძანებით დამტკიცებულ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

7. კონკურსის მე-2 ეტაპზე მონაწილეობის უფლება მიეცემათ მხოლოდ იმ კონკურსანტებს, რომლებიც კონკურსის I ეტაპის განცხადების გადარჩევის საფუძველზე, დააკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს.

8. კონკურსის მეორე ეტაპი - გასაუბრება ჩატარდეს 2017 წლის 23 მარტამდე ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში. მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ.№3.

9. გასაუბრების ეტაპზე თითოეული კონკურსანტი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად საჯარო სამსახურის ბიუროს ადმინისტრირებად ვებგვერდზე www.hr.gov.ge-ზე საჯარო კონკურსის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში მითითებული (დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები) მოთხოვნების შესაბამისად შეფასდება 10 ბალიანი ქულათა სისტემით. კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შესაფასებლად გამოიყენება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 01 ოქტომბრის №27 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2.

10. გასაუბრების ეტაპზე თითოეული კონკურსანტის საბოლოო შეფასების მისაღებად კომისიის წევრთა მიერ კანდიდატისათვის დაწერილი ქულები შეჯამდება, გაიყოფა იმ რიცხვზე, რამდენი კომისიის წევრიც აფასებს კონკრეტულ კანდიდატს (საშუალო არითმეტიკული ქულა) და გამოანგარიშდება მიღებული ქულის მეათედი ნაწილით.

11. კონკურსის გასაუბრების ეტაპზე დადებით შედეგად ჩაითვლება არანაკლებ 5.1 ქულის მიღება, კანდიდატი, რომელიც დააგროვებს 5.1 ქულაზე ნაკლებს, მიიღებს შეფასებას „ვერ გადალახა“. იმ შემთხვევაში, თუ მესამე ეტაპზე-გასაუბრებაზე კონკრეტულ ვაკანსიაზე ვერცერთი კანდიდატი ვერ გადალახავს დაწესებულ მინიმალურ ბარიერს, აღნიშნულ პოზიციაზე კონკურსი ჩაშლილად გამოცხადდება.

12. კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით გამარჯვებულად გამოვლინდება ის კონკურსანტი, რომელიც კონკურსის მონაწილეთა შორის დააგროვებს უმაღლეს საერთო ქულას.

13. ერთ კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსანტთა მიერ თანაბარი უმაღლესი საერთო ქულის დაგროვების შემთხვევაში, გამარჯვებული კონკურსანტი გამოვლინდება კომისიის წევრების ღია კენჭისყრით. გამარჯვებულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს კომისიის დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობას. კომისიის წევრების ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. გადაწყვეტილების მიღებისას, აუცილებლობის შემთხვევაში ისმენს აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის უფლების მქონე პირის აზრს.

14. კონკურსის ეტაპების ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.keda.ge და კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

15. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის შეტყობინების შესახებ ინფორმაციის პროექტები და საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს დანართი №1-ის შესაბამისად.

16. დაევალოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს უზრუნველყოს დანართი №1 დამტკიცებული ინფორმაციის საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებად ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) განთავსება.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა
და გამგეობის საჯარო მოხელეთა
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე,
ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელი

დავით დუმბაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა
და გამგეობის საჯარო მოხელეთა
საკონკურსო-საატესტაციო კომისიის
თავმჯდომარის მოადგილე,
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე

გურამ ანანიძე

კომისიის წევრი,
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი
სურმანიძე

ჯამბულ

თანამდებობის დასახელება: იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში

დამსაქმებელი: ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

კატეგორია: იურიდიული

განცხადების წარდგენის ბოლო ვადა: 09.03.2017

თანამდებობრივი სარგო: 560 ლარამდე

ადგილების რაოდენობა: 1

სამსახურის ადგილმდებარეობა: ქედა

სამუშაოს ტიპი: სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა: 6 თვე

ფუნქციები:

- საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გაფორმება, რედაქტირება;

- საკრებულოს თავმჯდომარის ან/და საკრებულოს ბიუროს დავალებით საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებზე - სამართლებრივი ექსპერტიზის ჩატარება და სათანადო დასკვნების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

- თვითმმართველი ერთეულის ორგანოებისა და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების კოდიფიკაციასა და სისტემატიზაციასში მონაწილეობის მიღება, მათი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლი, საჭიროების შემთხვევაში მიღებული სამართლებრივი აქტების გაუქმების ან მასში ცვლილების შეტანის შესახებ შესაბამისი წინადადებების მომზადება;

- საკრებულოს სხდომებზე სამართლებრივი აქტების პროექტების განხილვისას გამოთქმული და საკრებულოს მიერ მიღებული წინადადებებისა და შენიშვნების აღრიცხვა, საკრებულოს სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების საბოლოო რედაქციის შემუშავება;

- საკრებულოს თანამდებობის პირების, საკრებულოს წევრების, საკრებულოს აპარატის უფროსის, საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების და აპარატის სხვა საჯარო მოსამსახურეთა სამართლებრივი ინფორმაციით უზრუნველყოფა და მათთვის შესაბამისი სამართლებრივი კონსულტაციების გაწევა;

- საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოს სამუშაო ჯგუფებისათვის სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მეთოდური დახმარების გაწევა, ასევე საკრებულოს მიერ წინასწარ გაცემული წერილობითი მინდობილობის შესაბამისად, წარმოადგენს და იცავს საკრებულოს ინტერესებს სასამართლოში;

- საკრებულოს წევრებისა და აპარატის საჯარო მოსამსახურეების პირადი საქმეების წარმოება;

- საკრებულოს ორგანოების სამუშაო გეგმების საფუძველზე საკრებულოს წლიურ სამუშაო გეგმის პროექტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;

- სხდომაზე მიღებული ნორმატიულ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შესაბამის პროგრამაში ატვირთვა და გამოსაქვეყნებლად გადაგზავნა;

- საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს აპარატის დებულებით, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება;

მოთხოვნები:

მინიმალური განათლება: ბაკალავრი

სამუშაო გამოცდილება: 6 თვე

პროფესია: იურისტი

სასურველი ასაკი -დან : 21

საკონკურსო თემატიკა:

საქართველოს კონსტიტუცია;

ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი;
საქართველოს შრომის კოდექსი;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება;

შენიშვნა : მოცემული სამართლებრივი აქტები შეგიძლიათ იხილოთ ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე: <http://www.keda.ge>

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	ძალიან კარგი
Microsoft Office Excel	ძალიან კარგი

საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას ქ.№3 **საკონტაქტო ტელეფონები:** 595506386

საკონტაქტო პირი: ჰამიდა ზოიძე

დამატებითი მოთხოვნები:

1. სავალდებულო მოთხოვნა: სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 6 (ექვსი) თვიანი გამოცდილება.
2. უნარ-ჩვევები:
 - ა) კონფლიქტებისა და დავების მართვისა და გადაჭრის უნარი;
 - ბ) სამუშაოს ანალიზისა და სამუშაოს დიზაინის უნარი;
 - გ) ინტერვიუს ჩატარების უნარი;
 - დ) კადრის განვითარების, შეფასების, მოტივირების უნარი;
 - ე) საკანონმდებლო ტექნიკის გამოყენების უნარი;
 - ვ) კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი;
 - ზ) ხარისხობრივი მონაცემების დამუშავების უნარი;
 - თ) პრობლემების ანალიზის უნარი;
 - ი) განსხვავებულ ამოცანებზე ერთდროულად მუშაობის უნარი;
 - კ) სტრესის ზემოქმედების ქვეშ ეფექტიანი მუშაობის უნარი.

დამატებითი ინფორმაცია:

კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით საკონკურსო-საატესტაციო კომისიას წარუდგინოს:

- ა) ელექტრონული განაცხადი;
 - ბ) განათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
 - გ) გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, რომლითაც დადასტურდება სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ექვს თვიანი გამოცდილების სტაჟი.
- ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე (დოკუმენტის უცხო ენაზე არსებობის შემთხვევაში ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს მისი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი).

კონკურსში მონაწილეობას გააგრძელებს მხოლოდ ის კანდიდატი, რომელიც განაცხადის (აპლიკაციების) გადარჩევის საფუძველზე, დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; კანდიდატი, რომლის მონაცემებიც არ შეესაბამება დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, მათ შორის სავალდებულოდ ასატვირთი დოკუმენტების ან/და ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში, ვერ გააგრძელებს კონკურსში მონაწილეობას;

კონკურსის ეტაპების ჩატარების ზუსტი ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.keda.ge და კანდიდატებს ეცნობებათ დამატებით განაცხადში მითითებული ტელეფონის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა:

კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ქულათა სისტემით არაუგვიანეს 2017 წლის 1 აპრილისა.

კონკურსის ეტაპები:

განცხადების გადარჩევა

გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები:

პირადი ინფორმაცია

სამუშაო გამოცდილება - ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

განათლება კვალიფიკაცია - ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები სამოტივაციო წერილი

დამატებითი დოკუმენტაცია